

ლეგალური ემიგრაციის გზამკვლევი



2015

ლაგალური ემიგრაციის გზამკვლევი

ავტორი:

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნო

მისამართი: თბილისი, ა. წერეთლის გამზ. №67ა, 0154 საქართველო

ტელ: +995 322 401 010

ელფოსტა: SCMI-Secretariat@sda.gov.ge

ვებგვერდი: www.migration.commission.ge

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია

საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო

იუსტიციის სამინისტრო



შინაგან საქმეთა სამინისტრო



საგარეო საქმეთა სამინისტრო



ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ
პირთა, განსახლებისა და
ტოლკილთა სამინისტრო



ღიასპორის საკითხებში
სახელმწიფო მინისტრის აპარატი



შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის
სამინისტრო



ევროპულ და ევროატლანტიკურ
სტრუქტურებში ინტეგრაციის
საკითხებში სახელმწიფო
მინისტრის აპარატი



ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო



ფინანსთა სამინისტრო



განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო



სტატისტიკის ეროვნული
სამსახური



რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

გზამკვლევი შემუშავდა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოს მიერ.

ითარგმნა და გამოიცა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის -

„მიგრაციის მართვის გაძლიერება
საქართველოში“ (ENIGMMA) ფარგლებში



მიგრაციის საკითხთა
სამთავრობო კომისია



სახელმწიფო სარკისების
ბანკითარების სააგენტო

გზამკვლევის შესახებ	4
საქართველოს მოქალაქის პასპორტი	5
საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეზე პასპორტის გაცემა	7
საქართველოს მოქალაქეების საკონსულო აღრიცხვა	10
საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის გაცემა	11
საქართველოდან ემიგრაციის ნებართვის გაცემა	13
საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა	14
საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა	14
საქართველოს მოქალაქეობის დაყარვა	15
ქვეყნები, რომლებშიც საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ უვიზოდ შესვლა	17
არალეგალური მიგრაციის საფრთხეები	18
ლეგალური იმიგრაცია ევროკავშირში	22
დანიშნულების ქვეყნების მიგრაციის სამსახურების ვებგვერდები	27
მიგრაციის მართვა საქართველოში - მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია	28
საქართველოს სასაზღვრო გამტარი პუნქტები	33
მიგრაციის სფეროში სახელმწიფო სერვისების მიმწოდებელი ადმინისტრაციული ორგანოების ტერიტორიული წარმომადგენლობები	36
საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები და საკონსულო დაწესებულებები	37
საქართველოს ტერიტორიაზე აკრედიტებული უცხო ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობები	56
მიგრანტის ლექსიკონი	62

მიგრაციის პროცესები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე, მის უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე. დღეისათვის საქართველო მიგრანტების როგორც წარმოშობის, ისე დანიშნულებისა და ტრანზიტის ქვეყანაა. აღნიშნული პროცესების სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა და შესაბამისი ინსტიტუციური მექანიზმების განვითარება ქვეყნისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ევროკავშირთან ინტეგრაციის პარალელურად, ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობების გაფართოებისა და ხელშეწყობისთვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მოსახლეობის ჯეროვანი ინფორმირებულობა, როგორც ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობების, ასევე არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებული საფრთხეებისა და რისკების შესახებ.

უქანასწნელ წლებში ევროკავშირის მხარდაჭერით მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა მიგრანტთა ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით. ამ მხრივ აქტიურ საქმიანობას ეწევა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, რომელმაც შეიმუშავა საინფორმაციო კამპანიის კონცეფცია, სახელწოდებით „ლეგალური მიგრაცია - საუკეთესო არჩევანი.“ კონცეფცია მოიცავს სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო ხასიათის ღონისძიების ორგანიზებას, რომლებიც კომისიის წევრი უწყებების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით ხორციელდება. ამავე კამპანიის ფარგლებში დაიგეგმა გზამკვლევის შემუშავება, რომლის მიზანია, პრაქტიკული ინფორმაცია მიაწოდოს პოტენციურ თუ უკვე არსებულ მიგრანტებს და მიგრაციის სფეროთი დაინტერესებულ სხვა პირებს.

დღემდე საქართველოში ლეგალური ემიგრაციის შესახებ ინფორმაციის ერთდერით წყაროს ცალკეული სახელმწიფო უწყებებისა და ორგანიზაციების ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია ან სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში გაფანტული ემიგრაციის მარეგულირებელი ნორმები წარმოადგენდა. ასეთი ტიპის ინფორმაცია კი იშვიათად არის ამომწურავი, მარტივად ხელმისაწვდომი ან ადვილად გასაგები ენით დაწერილი. წინამდებარე გზამკვლევი ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად შემუშავდა. იგი აერთიანებს პრაქტიკული ხასიათის ინფორმაციას ემიგრანტებისთვის აუცილებელი დოკუმენტების, შესაბამისი სტატუსის მოპოვების, ქვეყნიდან დროებითი ან მუდმივი გასვლის და უკან დაბრუნების სამართლებრივი გზების შესახებ.

ვფიქრობთ, გზამკვლევი მნიშვნელოვნად გაუმარტივებს ემიგრანტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს ლეგალური ემიგრაციის მარეგულირებელი ნორმებისა და შესაბამისი სერვისების შესახებ ინფორმაციის მოძიებას. ვიმედოვნებთ, რომ ემიგრანტთა ინფორმირებულობის გაზრდა დადებითად აისახება ლეგალური მიგრაციის დინამიკაზე.

საქართველოს მოქალაქის პასპორტი

საზღვარგარეთ ლეგალურად გამგზავრებისთვის საქართველოს მოქალაქეს აუცილებლად უნდა ჰქონდეს საქართველოს მოქალაქის მოქმედი პასპორტი.

საქართველოს მოქალაქის პასპორტი არის საქართველოს მოქალაქის პირადობის და მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ. პასპორტი საქართველოს ეუთვნილებაა და გაიცემა ნებისმიერი ასაკის საქართველოს მოქალაქეზე მისი საქართველოდან გასვლის, საზღვარგარეთ გადაადგილებისა და საქართველოში შემოსვლის მიზნით.

საქართველოს მოქალაქეები საქართველოდან გასვლისას და საზღვრის გადაკვეთისას გადიან საპასპორტო კონტროლს და პასპორტში ან მის შემცველ დოკუმენტში აღინიშნება საზღვრის გადაკვეთის თარიღი.

შენიშვნა:

პასპორტის შენახვისა და დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მის ჯანონიერ მფლობელს.

2010 წლიდან საქართველოში გაიცემა მეორე თაობის ბიომეტრიული პასპორტები, რომელსაც ჩვეულებრივი პასპორტისგან განსხვავებით, დამატებული აქვს ელექტრონული მატარებელი, რომელზეც დატანილია მფლობელის პერსონალური მონაცემები, ელექტრონული ფოტოსურათი და თითის ანაბეჭდი. ბიომეტრიული პასპორტი მაღალტექნოლოგიური და გაყალბებისგან დაცული სამგზავრო დოკუმენტია. მისი გამოყენება მიზნად ისახავს პიროვნების სრულყოფილ იდენტიფიკაციას და ოფიციალური დოკუმენტის გაყალბების ფაქტების აღმოფხვრას. ბიომეტრიული პასპორტების გაცემის სისტემაზე გადასვლამ მნიშვნელოვნად გაზარდა საქართველოს მიერ გაცემული დოკუმენტების სანდოობის ხარისხი.



საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურს,¹ იუსტიციის სახლის ფილიალს² ან საზოგადოებრივ ცენტრს.³

პასპორტის გაცემა

პასპორტის გაცემის მიზნით საქართველოს მოქალაქეებს ასაკის მიხედვით სხვადასხვა დოკუმენტის წარდგენა მოეთხოვებათ:

სრულწლოვანი პირი (მათ შორის 16-დან 18 წლამდე ასაკის რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი)	- პირადობის მოწმობა; - რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფმა 16-დან 18 წლამდე ასაკის პირმა უნდა წარმოადგინოს ქორწინების დამადასტურებელი დოკუმენტი; - ერთი ფერადი ბიომეტრიული ფოტო.
16-დან 18 წლამდე ასაკის პირი (რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის გარდა)	- დაბადების მოწმობა; - პირადობის მოწმობა; - ერთ-ერთი მშობლის თანხმობა პასპორტის აღების შესახებ; - ერთი ფერადი ბიომეტრიული ფოტო.
16 წლამდე არასრულწლოვანი პირის (მშობელი ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი)	- დაბადების მოწმობა; - პირადობის მოწმობა; - ორივე მშობლის თანხმობა პასპორტის აღების შესახებ; - ორივე მშობლის პირადობის მოწმობა; - ერთი ფერადი ბიომეტრიული ფოტო.

სრულწლოვან პირზე საქართველოს მოქალაქის პასპორტი გაიცემა **10 წლის**, ხოლო არასრულწლოვან პირზე **3 წლის** მოქმედების ვადით.

¹ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. სააგენტოს ტერიტორიული სამსახურების საკონტაქტო ინფორმაცია იხილეთ 36-ე გვერდზე.

² იუსტიციის სახლი არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. იუსტიციის სახლის ფილიალების საკონტაქტო ინფორმაცია იხილეთ 36-ე გვერდზე.

³ საზოგადოებრივი ცენტრების საკონტაქტო ინფორმაცია იხილეთ 36-ე გვერდზე.

შენიშვნა:

უცხო სახელმწიფოს ნოტარიუსის ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ დამოწმებული თანხმობა ან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მინდობილობა) პასპორტის გაცემის თაობაზე საქართველოს უფლებამოსილმა ორგანოებმა შეიძლება მიიღონ ლეგალიზაციის ან აპოსტილით დამოწმების გარეშე.

საქართველოს მოქალაქის პასპორტს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო განაცხადის შეტანიდან მე-10 სამუშაო დღეს გასცემს. სააგენტოში ასევე მოქმედებს პასპორტის დაჩქარებულ ვადებში გაცემის სერვისი. შესაბამისი მომსახურების საფასურის გადახდის შემთხვევაში პასპორტის გაცემა შესაძლებელია 1-დან 10 დღემდე ვადაში. მომსახურების საფასურების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: www.sda.gov.ge; www.psh.gov.ge.

საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის პროცედურების შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდებზე: www.sda.gov.ge; www.psh.gov.ge; www.centri.gov.ge.


საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეზე პასპორტის გაცემა

საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეს საქართველოში ჩამოსვლის გარეშე შეუძლია მიიღოს საქართველოს მოქალაქის პასპორტი. ასეთ შემთხვევაში არსებობს პასპორტის მიღების სამი გზა:

1. საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების¹ საშუალებით - საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა ან საკონსულო დაწესებულება საქართველოს მოქალაქის პასპორტს გასცემს განაცხადის შეტანიდან **45 დღის ვადაში**. საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც მანამდე აღებული აქვს საქართველოს მოქალაქის პასპორტი ან პირადობის მოწმობა, ან ერთხელ მაინც აქვს გავლილი რეგისტრაცია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში, უფლება აქვს, მიიღოს პასპორტი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის წარდგენის გარეშე;

¹ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების სია იხილეთ 37-ე გვერდზე.

2. საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე - რწმუნებულებით აღჭურვილი პირი შესაბამისი მინდობილობითა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის მიღებისთვის საჭირო სხვა დოკუმენტებით მიმართავს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურს, საზოგადოებრივ ცენტრს ან იუსტიციის სახლის ფილიალს. ასეთ შემთხვევაში საქართველოს მოქალაქის პასპორტი გაიცემა **მე-5 ან მე-10 სამუშაო დღეს**, შესაბამისი საფასურის მიხედვით;



შენიშვნა: მინდობილობის საფუძველზე პასპორტის მიღება შეუძლია საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც ერთხელ მაინც აქვს მიღებული ბიომეტრიული დოკუმენტი და ახალი ბიომეტრიული პასპორტის გაცემის მიზნებისათვის შესაძლებელია დაინტერესებული პირის ბიომეტრიული მონაცემების ხელმეორედ გამოყენება.

3. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისტანციური სერვისით - საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტის გაცემის თაობაზე განცხადების შევსება შესაძლებელია მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან, სადაც ხელმისაწვდომია ინტერნეტი. ამისთვის განმცხადებელი უნდა შევიდეს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესაბამის ვებგვერდზე: <http://intpass.cra.ge/Passport32Default.aspx> და განაცხადის შევსებასთან ერთად, განახორციელოს ვიდეოზარი სააგენტოს ოპერატორთან. Skype-ის ქსელში სამსახურის სახელია: sda.ge. დისტანციური მომსახურების საშუალებით საქართველოს მოქალაქის პასპორტი გაიცემა ყველა აუცილებელი დოკუმენტის წარმოდგენიდან **2 სამუშაო დღის** ვადაში.



დისტანციური მომსახურებით სარგებლობისას დაინტერესებულ პირს შეუძლია, აირჩიოს დამზადებული პასპორტის მიღების სასურველი ფორმა:

1. მიიღოს დამზადებული დოკუმენტი საფოსტო მომსახურების მეშვეობით;
2. განაცხადში დაასახელოს (მისი ნდობით აღჭურვილი) მესამე პირი, რომელიც საქართველოში მიიღებს დამზადებულ დოკუმენტს.

დისტანციური სერვისით საქართველოს მოქალაქის პასპორტის მიღების შესახებ დეტალური ინ-
სტრუქცია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: <http://intpass.cra.ge/VideoHelp.aspx>.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისტანციური მომსახურების სამსახური 24
საათის განმავლობაში ყოველდღიურად მუშაობს. სამსახურთან დაკავშირება შესაძლებელია ინ-
ტერნეტით ან ტელეფონის ნომერზე: +995 322 401 010. დამატებითი ინფორმაცია საქართველოს
მოქალაქის პასპორტის დისტანციურად გაცემის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდებზე:
www.sda.gov.ge; www.psh.gov.ge.



საკონსულო აღრიცხვა არის საქართველოს მოქალაქეთა საზღვარგარეთ დროებით ან მუდმივად ყოფნის ფაქტის დაფიქსირება, რომელსაც საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა ან საკონსულო დაწესებულება და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო აწარმოებენ.

შენიშვნა:

სასურველია, საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქე, მისივე ინტერესებიდან გამომდინარე, დადგეს საკონსულო აღრიცხვაზე. თუ საქართველოს მოქალაქე რ თვეზე მეტი ვადით იმყოფება საზღვარგარეთ, იგი **ვალდებულია**, რ თვის გასვლიდან არაუგვიანეს 10 დღისა, დადგეს საკონსულო აღრიცხვაზე საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საკონსულო დაწესებულებაში ან განახორციელოს ეს პროცედურა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს **დისტანციური მომსახურების მეშვეობით**.

საკონსულო აღრიცხვაზე დაყენების თაობაზე შეამდგომლობის აღძვრის უფლება აქვს 14 წლის ასაკს მიღწეულ საქართველოს მოქალაქეს, 14 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქის ჟანონიერ წარმომადგენელს, აგრეთვე საქართველოს მოქალაქის მზრუნველს ან მეურვეს.

საქართველოს მოქალაქის საკონსულო აღრიცხვაზე დაყენება შესაძლებელია სახლიდან გაუსვლელად, მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან. ამისთვის დაინტერესებულმა პირმა განაცხადი უნდა გააკეთოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს **დისტანციური მომსახურების** ვებგვერდზე, შესაბამისი ელექტრონული განცხადების შევსებით: <http://intpass.cra.ge>. განაცხადის დასადასტურებლად პირმა უნდა განახორციელოს ვიდეოზარი სააგენტოს ოპერატორთან. Skype-ის ქსელში სამსახურის სახელია: sda.ge.

საქართველოს მოქალაქის საკონსულო აღრიცხვაზე დაყენება ასევე შესაძლებელია საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდის მეშვეობით: www.geoconsul.gov.ge

დისტანციური სერვისით საკონსულო აღრიცხვის განხორციელების დეტალური ვიდეოინსტრუქცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: <http://intpass.cra.ge/VideoHelp.aspx>.

საკონსულო აღრიცხვაზე მყოფ პირზე გაიცემა შესაბამისი **საკონსულო აღრიცხვის ბარათი**, რომელიც **ძალაშია მხოლოდ საქართველოს მოქალაქის პასპორტთან ერთად**.

საქონსულო აღრიცხვასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ საგარეო საქმეთა სამინისტროს ტელეფონზე: **+995 322 945 050** ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე: consulinfo@mfa.gov.ge. ინფორმაცია ასევე შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდებზე: www.geoconsul.gov.ge; www.sda.gov.ge; www.psh.gov.ge.

საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის გაცემა

საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობა არის უცხოეთიდან საქართველოში დასაბრუნებელი (გამოსამგზავრებელი) ერთჯერადი სამგზავრო დოკუმენტი.

საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობა გაიცემა საქართველოს მოქალაქეებზე; პირებზე, რომელთაც უდგინდებათ საქართველოს მოქალაქეობა; საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებზე; საქართველოში ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელებზე და გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით სხვა პირებზეც.

საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობა გაიცემა შემდეგ შემთხვევებში:

- ვადგასული, დაქარგული, ან სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისთვის უვარგისი (იგულისხმება გაცვეთა ან დაზიანება) სამგზავრო დოკუმენტის სანაცვლოდ ან ასეთი დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაში;
- ნებაყოფლობით დაბრუნების, საქართველოში დეპორტაციის ან რეადმისიის მიზნით;
- საგანგებო სიტუაციის არსებობის დროს, საქართველოს მოქალაქის, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის, პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელი პირის ოჯახის წევრების ჰუმანიტარული მიზნით საქართველოში გამოსამგზავრებლად;
- საქართველოში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ან მის მიმართ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით.

საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის გაცემის თაობაზე დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს საზღვარგარეთ **საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას**.

საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის გაცემის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღება განცხადების მიღებიდან **15 დღის ვადაში**.



საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა საქართველოში დასაბრუნებელ მოწმობას გასცემს **ერთ თვემდე** მოქმედების ვადით. თუმცა, იგი შეიძლება გაიცეს **სამ თვემდე** მოქმედების ვადითაც შემდეგ შემთხვევებში:

- დასაბრუნებელი მოწმობის გაცემა უკავშირდება საქართველოში დასაბრუნებლად სატრანზიტო გავლის ან გასვლის უფლებით ვიზის მიღებას;
- პირი იმყოფება პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, რაც დასტურდება ოფიციალური შეტყობინებით;
- დასაბრუნებელი მოწმობის გაცემა ხდება რეადმისიის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში.

საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის გაცემასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ საგარეო საქმეთა სამინისტროს ტელეფონზე: +995 322 945 050 ან ელექტრონულ ფოსტაზე: consulinfo@mfa.gov.ge ან იხილოთ ვებგვერდზე: www.geoconsul.gov.ge.



საქართველოდან ემიგრაციის ნებართვის გაცემა

საქართველოს მოქალაქეებს აქვთ საქართველოდან სხვა სახელმწიფოში დროებით ან მუდმივად საცხოვრებლად გამგზავრების უფლება. თუ საქართველოს მოქალაქე დროებით მიემგზავრება საქართველოდან, მას არ სჭირდება საქართველოდან ემიგრაციის ნებართვის აღება. საქართველოს მოქალაქეს, რომელიც მუდმივად საცხოვრებლად მიდის საზღვარგარეთ, ესაჭიროება საქართველოს მოქალაქის პასპორტი და ემიგრაციის ნებართვა.



ემიგრაციის ნებართვის მისაღებად განცხადების წარდგენის უფლება აქვს საქართველოს სრულწლოვან, ქმედუნარიან მოქალაქეს. 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი ემიგრაციაში მიდის თავის ჯანონიერ წარმომადგენელთან ერთად; ხოლო თუ იგი მიემგზავრება უცხოეთში მყოფ თავის ჯანონიერ წარმომადგენელთან და აქვს ამ უკანასკნელის თანხმობა – იგი საზღვარგარეთ მიდის სრულწლოვან ქმედუნარიან თანმხლებ პირთან ერთად.

დაინტერესებული პირი ემიგრაციის ნებართვის მისაღებად განცხადებას წარადგენს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურში ან იუსტიციის სახლის ფილიალში. ემიგრაციის ნებართვა ყველა საჭირო დოკუმენტაციის წარდგენიდან **ერთი თვის** ვადაში გაცემა.

განცხადებას ემიგრაციის ნებართვის გაცემის თაობაზე უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- საქართველოს მოქალაქის პასპორტის ასლი;
- 2 ფოტოსურათი, ზომით 3x4;
- მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- 18-დან 27 წლამდე ასაკის პირებისთვის (მამაკაცებისთვის) – სამხედრო ბილეთის ასლი ან ცნობა სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების, სამხედრო სამსახურში გაწვევის ან სამხედრო ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ;
- არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში – დაბადების მოწმობის ასლი და მისი ჯანონიერი წარმომადგენლ(ებ)ის თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ემიგრაციის ნებართვის გაცემასთან ერთად საქართველოს მოქალაქის პასპორტში სვამს შტამპს აღნიშვნით: „მუდმივი გასვლა.“

საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება შეწყდეს საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის ან დაქარგვის გზით.

საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა

საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა ნიშნავს პირის მიერ საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმას.

საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს მოქალაქეობიდან გასვლის უფლება. ამისთვის პირმა განცხადებით უნდა მიმართოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს, იუსტიციის სახლის ფილიალს ან საზოგადოებრივ ცენტრს, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფმა პირმა – საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას.

საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის თაობაზე განაცხადის გაკეთება ასევე შესაძლებელია დისტანციურად, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ვებგვერდის მეშვეობით: <http://intpass.cra.ge/>

დაინტერესებულმა პირმა უფლებამოსილ ორგანოში განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინოს:

- საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- 18-დან 27 წლამდე ასაკის პირის (მამაკაცის) შემთხვევაში - სამხედრო ბილეთის ასლი ან ცნობა სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების, სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან ან სამხედრო ვალდებულების მოხდისაგან გათავისუფლების შესახებ;
- არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში – პირის დაბადების მოწმობის ასლი, აგრეთვე მისი ჯანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობა;
- სახელის ან/და გვარის გამოცვლის შემთხვევაში განმცხადებელს შესაძლოა, მოეთხოვოს სახელის ან/და გვარის გამოცვლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის წარდგენა.

საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის თაობაზე განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადა **3 თვემდე** პერიოდს მოიცავს.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დასკვნის საფუძველზე, საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი, რაც დასტურდება პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულებით.

საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულება ძალაში შედის:


1. საქართველოს კომპეტენტური ორგანოების მიერ იმ დოკუმენტის მიღებისთანავე, რომელიც ადასტურებს პირის მიერ სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღებას;
 2. ბრძანებულების ხელმოწერიდან მე-15 დღეს, თუ პირს წარდგენილი აქვს სხვა ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის შემთხვევაში აუცილებლად მიენიჭება ამ ქვეყნის მოქალაქეობა.
- საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის პროცედურებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდებზე: www.sda.gov.ge; www.psh.gov.ge; www.centri.gov.ge.

საქართველოს მოქალაქეობის დაქარგვა

საქართველოს მოქალაქეობის დაქარგვა ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- თუ პირი საქართველოს კომპეტენტური ორგანოების ნებართვის გარეშე შევა სხვა ქვეყნის სამხედრო, პოლიციის ან უშიშროების სამსახურში;
- თუ საქართველოს მოქალაქეობას მოიპოვებს ყალბი დოკუმენტების წარდგენით;
- თუ მოიპოვებს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეობა მინიჭებული აქვს საგამონაქლისო წესით).

მოქალაქეობის დაქარგვის საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქეს შეუძლია, განცხადებით მიმართოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურს, იუსტიციის სახლის ფილიალს ან საზოგადოებრივ ცენტრს. განცხადებასთან ერთად პირმა უნდა წარადგინოს მოქალაქეობის დაქარგვის საფუძვლის დამადასტურე-



შენიშვნა: ნებისმიერი სახელმწიფო ორგანო, რომელიც ადამოაჩენს საქართველოს მოქალაქეობის დაქარგვის საფუძველს, ამის შესახებ წარდგინებით მიმართავს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს. თუ სააგენტოსთვის სხვა სახელმწიფო ორგანოს წარდგინების გარეშე გახდება ცნობილი საქართველოს მოქალაქეობის დაქარგვის საფუძვლების არსებობა, სააგენტო ჯანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილავს მოქალაქეობის დაქარგვის საკითხს და შესაბამის მასალებს წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს.

ბელი დოკუმენტები. საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები პირი განცხადებას წარადგენს საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საკონსულო დაწესებულებაში.

საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას, სააგენტოს მიერ წარდგენილი დასკვნის საფუძველზე, იღებს საქართველოს პრეზიდენტი.

მოქალაქეობიდან გასვლისა და დაქარგვის თაობაზე განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.



ქვეყნები, რომლებშიც საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ უვიზოდ შესვლა

საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ცალკეული ქვეყნების შიდა ჯანონმდებლობის საფუძველზე საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ, უვიზოდ შევიდნენ შემდეგ ქვეყნებში*:

აზერბაიჯანი	მალაიზია
ანდორა	მოლდოვა
ანტიგუა და ბარბუდა	მონტოლუთი
ბარბადოსი	პანამა
ბაჰამის თანამეგობრობა	სამოა
ბელორუსი	სომხეთი
დომინიკის რესპუბლიკა	ტაჯიკეთი
ეკვადორი	უზბეკეთი
თურქეთი	უკრაინა
ისრაელი	ყაზახეთი
ირანი	ყირგიზეთი
კოლუმბია	ჰაიტი

სხვა ქვეყნებთან სავიზო რეჟიმის პირობებისა და ვიზის მოპოვების პროცედურების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე: www.mfa.gov.ge (დეტალური ინფორმაცია განთავსებულია შემდეგ ბმულზე: <http://mfa.gov.ge/MainNav/ConsularInformation/VisaInfoGeorgian.aspx>).

* ინფორმაცია მოცემულია 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

არალეგალური მიგრაციის საფრთხეები

თუ საზღვარგარეთ წასვლას აპირებთ, გამგზავრებამდე აუცილებლად შეამოწმეთ შემოთავაზებული სასწავლო პროგრამისა თუ სამუშაოს ნამდვილობა და მიიღეთ უსაფრთხოების ზომები. ასევე, გაითვალისწინეთ, რომ უცხო ქვეყანაში არალეგალურად გამგზავრება ჯანონსაწინააღმდეგო ქმედებაა და სერიოზულ რისკებთან არის დაკავშირებული.

შენიშვნა:

- ყოველთვის გადაამოწმეთ ორგანიზაციები, რომლებიც გთავაზობენ დახმარებას საზღვარგარეთ დასაქმებაში, სწავლაში, სტაჟირებაში ან საცხოვრებლად გადასვლაში;
- ვიზის მისაღებად პირადად მიმართეთ დანიშნულების ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას;
- ნუ გადასცემთ თქვენს პასპორტს ან პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს სხვას;
- წინასწარ გადაამოწმეთ დამსაქმებლის მიერ შემოთავაზებული სამუშაოს პირობები. მოითხოვეთ თქვენი დამსაქმებლის ან სასწავლებლის საკონტაქტო მონაცემები;
- გაითვალისწინეთ, რომ თქვენი ჯანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვას მხოლოდ ჯანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე შეძლება. არ დათანხმდეთ მუშაობის დაწყებას შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე.

არალეგალური მიგრაციასთან დაკავშირებული რისკები

არალეგალური მიგრაციის ორი ძირითადი გზა არსებობს: **ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)** და **ადამიანის საზღვარზე უკანონოდ გადაყვანა**. როდესაც საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა მიგრანტთა თანხმობით ხდება, კრიმინალური დაჯგუფებები გარკვეული საფასურის სანაცვლოდ უზრუნველყოფენ ადამიანების იმ ქვეყანაში გადაყვანას, რომლის მოქალაქეები არ არიან და არც ლეგალურად შესვლისთვის საჭირო დოკუმენტაცია გააჩნიათ. ასეთ შემთხვევებში კრიმინალურ დაჯგუფებასა და მიგრანტს შორის ურთიერთობა საზღვრის გადაკვეთის შემდეგ სრულდება. თუმცა, უცხო ქვეყანაში არალეგალური სტატუსის გამო მიგრანტები შეიძლება გახდნენ დამოკი-

დებუნნი იმ ადამიანებზე, რომელთაც საზღვარზე უკანონოდ გადაიყვანეს. კრიმინალური დაჯგუფებები ხშირად ბოროტად სარგებლობენ ამით და წლების განმავლობაში აიძულებენ ასეთ მიგრანტებს, ანაზღაურების გარეშე იმუშაონ და ასე დაფარონ მათი მგზავრობისთვის გაწეული ხარჯი.



ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) მონობის თანამედროვე ფორმაა, რომელშიც ადამიანების ჩათრევა მოტყუების, ძალადობის, მექარის ან იძულების სხვა ფორმით ხდება. ტრეფიკინგის დროს ადამიანებს ეზღუდებათ დამოუკიდებლობა, თავისუფალი გადაადგილებისა და არჩევის უფლება და ხდებათ ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი.

ადამიანით ვაჭრობის ყველაზე გავრცელებული სახეებია:

- ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობა სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით;
- იძულებითი შრომა სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, საოჯახო მეურნეობებსა და სხვა სექტორებში;
- ადამიანის სხეულის ორგანოებით ვაჭრობა.

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) და საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა მასშტაბებით მეორე დანაშაულებრივი ინდუსტრიაა მსოფლიოში და მსხვილი საერთაშორისო კრიმინალური ქსელეების მიერ იმართება. დღეისათვის განვითარებულ ქვეყნებში გამჟღავნებული საიმომიგრაციო პოლიტიკისა და საზღვრის მონიტორინგის გაუმჯობესებული ტექნოლოგიების გამო, არალეგალური მიგრანტების მზარდი ნაწილი ხდება მსგავსი კრიმინალური დაჯგუფებების მსხვერპლი.

იმ შემთხვევაშიც, თუ მიგრანტი ლეგალურად იმყოფება უცხო ქვეყანაში და გადაწყვეტილი აქვს იქ ხანგრძლივად დარჩენა, უნდა გაითვალისწინოს, რომ მისი ვიზის ან ბინადრობის ნებართვის

ვადის გასვლასთან ერთად მისი სამართლებრივი სტატუსი ლეგალურიდან არალეგალურზე იცვლება. არალეგალურ სტატუსს კი თან ახლავს ფიზიკურ უსაფრთხოებასა და პირად თავისუფლებასთან დაკავშირებული გაზრდილი რისკები; ამასთან ერთად, არალეგალურად მყოფნი ვერ სარგებლობენ ჯანდაცვის, განათლებისა და იმ სხვა საზოგადოებრივი/სოციალური მომსახურებებით, რომელიც ხელმისაწვდომია ლეგალურად მყოფი პირებისთვის. აღნიშნულის თავიდან აცილების ერთადერთი გზა ლეგალური სტატუსის შენარჩუნება და ლეგალური მიგრაციაა.

არალეგალური მიგრაცია ევროკავშირში

ევროკავშირის ქვეყნებში არალეგალურად ცხოვრება უამრავ სირთულესთანაა დაკავშირებული. შესაბამისი საბუთების არქონის გამო რთულია სამსახურის მოძებნა, საცხოვრებელი ბინის დაქირავება, განათლების მიღება და ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობა. ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების მიერ დაკავების შემთხვევაში არალეგალურად მყოფ პირებს ეძლევათ გარკვეული ვადა სამშობლოში დასაბრუნებლად. გარდა ამისა, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მიგრაციის საკითხებზე პასუხისმგებელი უწყებები არალეგალური ყოფნის ფაქტებზე გამოვლენილ ინფორმაციას ათავსებენ ე.წ. „შენგენის ზონის“ ერთიან საინფორმაციო სისტემაში (EURODAC, ვიზების საინფორმაციო სისტემა (VIS), შენგენის საინფორმაციო სისტემა (SIS) და სხვა), რაც მომავალში ევროკავშირის წევრ (და რიგ არაწევრ) სახელმწიფოებში არშეშვების მიზეზი შეიძლება გახდეს.

როგორც წესი, არალეგალური მიგრანტების საცხოვრებელი პირობები სავალალოა. ხშირად მათთვის შეუძლებელია ნორმალური ბინის დაქირავება; ხოლო ისინი, ვინც მზად არიან უზრუნველყონ არალეგალი მიგრანტები საცხოვრებლით, ძირითადად სთავაზობენ საშიშ ადგილებს არადამაჯყოფილებელი პირობებითა და დაუცველობის დიდი რისკით.

- თუ ვინმემ უკანონოდ შეზღუდა თქვენი თავისუფლება;
- თუ დამსაქმებელმა ჩამოგართვათ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- თუ გახდით ძალადობის მსხვერპლი.


პირველ რიგში, დაუკავშირდით ადგილსამყოფელ სახელმწიფოში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას, რომელიც ვალდებულია, დაიცვას თქვენი უფლებები და ჯანონიერი ინტერესები. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს, თქვენ ლეგალურად იმყოფებით უცხო ქვეყანაში თუ არალეგალურად. სურვილის შემთხვევაში, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას შეუძლია უზრუნველყოს შესაბამისი დოკუმენტების გაცემა და თქვენი სამშობლოში დაბრუნება.

თუ თქვენ იმყოფებით ქვეყანაში, რომელშიც არ არის საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა, მიმართეთ ადგილსამყოფელი ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებს, ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს, მიგრანტთა ასოციაციებს, სათვისტომოს წარმომადგენლობას და/ან პროფკავშირებს. ასევე, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სამუშაო საათებში: +995 322 945 050.

გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში 24 საათის განმავლობაში დარეკეთ: +995 577 984 020.

სამინისტროსთან დაკავშირება ელ. ფოსტითაც არის შესაძლებელი: consulinfo@mfa.gov.ge.

ტრეფიკინგის შემთხვევებთან დაკავშირებით შეგიძლიათ, ასევე დაუკავშირდეთ **შინაგან საქმეთა სამინისტროს** ცხელ ხაზს ნომერზე: +995 322 411 714.



ტრეფიკინგის მსხვერპლად აღიარებული პირი სარგებლობს სახელმწიფოს განსაკუთრებული მფარველობით - სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სხვა სახის დახმარებით. საქართველოში მოქმედებს ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი - ATIP Fund. ფონდთან დაკავშირება შესაძლებელია ცხელ ხაზზე: +995 322 100 229.



ევროკავშირის ქვეყნებში ჯანონიერად შესასვლელად საქართველოს მოქალაქეებს ესაჭიროებათ ვიზა, რომლის მიღება შესაძლებელია დანიშნულების ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საკონსულო დაწესებულებაში. თუ ამ ქვეყანას არ აქვს დიპლომატიური წარმომადგენლობა საქართველოში, დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს ევროკავშირის რომელიმე სხვა წევრი სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას საქართველოში. ცალკეულ შემთხვევაში სავიზო განაცხადის რომელიმე მეზობელ ქვეყანაში გაგზავნაც შეიძლება გახდეს საჭირო, თუ იქ ფუნქციონირებს დანიშნულების ქვეყნის საკონსულო დაწესებულება.

ევროკავშირის წევრ ქვეყანაში ჯანონიერად შესვლა მხოლოდ ოფიციალური სასაზღვრო-გამშვები პუნქტების გავლით არის შესაძლებელი. ამისათვის აუცილებელია, პირს ჰქონდეს:

- მოქმედი სამგზავრო დოკუმენტი (პასპორტი), რომელიც ძალაშია ევროკავშირის ქვეყნის დატოვების სავარაუდო თარიღიდან ჯიდევ მინიმუმ 3 თვის მანძილზე;
- ჯანმრთელობის დაზღვევა, რომელიც ფარავს თქვენს ევროკავშირში ყოფნის პერიოდს;
- მოკლევადიანი ვიზა (თუ 3 თვეზე მოკლე დროით აპირებთ ევროკავშირში დარჩენას);
- გრძელვადიანი ვიზა (თუ 3 თვეზე მეტ ხანს აპირებთ ევროკავშირში დარჩენას);
- თქვენი ვიზიტის მიზნის დამადასტურებელი დოკუმენტი (წერილი დამსაქმებლისგან, სასწავლებლიდან, ოჯახის ან მეგობრისგან, რომელმაც მიგიწვიათ ან სხვა);
- მტკიცებულება, რომ გაქვთ საკმარისი ფინანსური სახსრები ამ მოგზაურობისთვის და სამშობლოში დასაბრუნებლად.

ვიზის ტიპები და ბინადრობის ნებართვა

მოკლევადიანი (C კატეგორია) შენგენის ვიზა - მფლობელს უფლებას აძლევს 180 დღის განმავლობაში მაქსიმუმ 90 დღით დარჩეს და თავისუფლად გადაადგილდეს შენგენის ზონის 26 ქვეყანაში. მოკლევადიანი ვიზა შეიძლება გაძლევდეთ შენგენის ზონაში მხოლოდ ერთხელ (**single entry**) ან მრავალჯერ (**multiple entry**) შესვლის უფლებას. ვიზის განაცხადის ფორმა რამდენიმე ენაზეა ხელმისაწვდომი. განაცხადის ჩამოტვირთვა და დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ვებგვერდზე: www.schengenvisa.cc.

გრძელვადიანი ვიზა (D კატეგორია) - თუ 90 დღეზე მეტ ხანს აპირებთ ევროკავშირში დარჩენას, თქვენ დაგჭირდებათ გრძელვადიანი ვიზა ან ბინადრობის ნებართვა. ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში ორივე დოკუმენტის აღება მოგეთხოვებათ. მოთხოვნები გრძელვადიანი ვიზისთვის განსხვავდება წევრი სახელმწიფოების მიხედვით. ევროკავშირის საიმიგრაციო პორტალზე მოცემულია **ინტერაქტიული რუკა**: www.ec.europa.eu/immigration/tab2.do, სადაც შეგიძლიათ აირჩიოთ თქვენთვის საინტერესო ქვეყანა და იხილოთ მოთხოვნების დეტალური ჩამონათვალი. შენგენის ზონის წევრი სახელმწიფოს მიერ გაცემული გრძელვადიანი ვიზა უფლებას გაძლევთ, 6 თვის მანძილზე მაქსიმუმ 90 დღე იმყოფებოდეთ შენგენის ზონის ქვეყანაში. გრძელვადიანი ვიზა წარმოადგენს ბინადრობის ნებართვის მოპოვების წინაპირობას. **გაითვალისწინეთ, რომ გრძელვადიანი ვიზა ავტომატურად არ გაძლევთ მუშაობის უფლებას**, მუშაობის ნებართვა დამატებით უნდა მოიპოვოთ.

ტრანზიტული ვიზა (A და B კატეგორია) მხოლოდ ზოგიერთი ქვეყნის მოქალაქეს მოეთხოვება, როდესაც შენგენის ზონის ქვეყნის გავლით მიემგზავრება სხვა ქვეყანაში. **A** კატეგორიის ვიზა აეროპორტის ტრანზიტული ზონის დატოვების უფლებას არ იძლევა. საქართველოს მოქალაქეებს შენგენის ზონის ქვეყნების აეროპორტებში ტრანზიტული ვიზის აღება არ მოეთხოვებათ. **B** კატეგორიის ვიზა შენგენის ზონის ქვეყნებში 5 დღის განმავლობაში ავტომობილით, მატარებლით ან სხვა სატრანსპორტო საშუალებით ტრანზიტის ნებართვას იძლევა.

ბინადრობის ნებართვა უნდა აიღოთ, თუ ევროკავშირის ქვეყანაში ხანგრძლივი ვადით ჩადიხართ, როგორც მალაქვალთფიცირი მუშაყი, ანუ ევროკავშირის ე.წ. ლურჯი ბარათის მფლობელი, ან როგორც სტუდენტი, მკვლევარი, ან ევროკავშირის მოქალაქის ოჯახის წევრი. ასეთ შემთხვევებში, ბინადრობის მოწმობის აღება ხდება დანიშნულების ქვეყანაში შესვლის შემდეგ.

ევროკავშირის ლურჯი ბარათი ამერიკის შეერთებული შტატების ე.წ. მწვანე ბარათის ანალოგიურია. მისი მიზანია ევროკავშირში მალაქვალთფიცირი მუშაყების მოზიდვა. დამატებითი ინფორმაცია ლურჯი ბარათის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: <http://www.apply.eu/Blue-Card/>.

შენგენის ზონა

შენგენის ზონა თავისუფალი მიმოსვლის საშუალებას იძლევა ევროპის 26 ქვეყანაში. შენგენის ზონის ვიზის ან ბინადრობის მოწმობის მფლობელებს საშუალება აქვთ, თავისუფლად გადაადგილდნენ შენგენის ზონის ქვეყნებში.

შენიშვნა:

შენგენის ზონა და ევროკავშირი ერთი და იგივე არ არის. შენგენის ზონა მოიცავს ისეთ ქვეყნებს (ნორვეგია, ისლანდია და შვეიცარია), რომლებიც ევროკავშირის წევრები არ არიან და არ მოიცავს ევროკავშირის რამდენიმე წევრ სახელმწიფოს (იხ. ქვემოთ).

შენგენის ზონის 26 ქვეყანა

ავსტრია	ნორვეგია
ბელგია	პოლონეთი
გერმანია	პორტუგალია
დანია	საფრანგეთი
ესპანეთი	საბერძნეთი
ესტონეთი	სლოვაკეთი
ისლანდია	სლოვენია
იტალია	უნგრეთი
ლატვია	ფინეთი
ლიტვა	შვედეთი
ლიხტენშტეინი	შვეიცარია
ლუქსემბურგი	ჩეხეთი
მალტა	ჰოლანდია

ევროკავშირის წევრობის მიუხედავად, შენგენის ზონაში არ შედიან: **დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, კვიპროსი, ბულგარეთი, რუმინეთი და ხორვატია**. თუ ამ ქვეყნების მიერ გაცემულ ვიზას ან ბინადრობის მოწმობას ფლობთ, შენგენის ზონაში სამოგზაუროდ დაგჭირდებათ შენგენის ვიზის აღება. ანალოგიურად, შენგენის ვიზის მფლობელებს შეიძლება დასჭირდეთ ამ ქვეყნების ეროვნული ვიზის აღება.

დამატებითი ინფორმაცია ევროკავშირში ლეგალური მიგრაციის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ **ევროკავშირის საიმმიგრაციო პორტალზე**: www.ec.europa.eu/immigration/.

ევროკავშირის დასაქმების პორტალი

დასაქმებისა და მობილობის პორტალი ევროკომისიის, პარტნიორი ქვეყნებისა და ორგანიზაციების თანამშრომლობით 1993 წლიდან ფუნქციონირებს. პორტალის მთავარი მიზანია ერთიანი ევროპული სამუშაო ბაზრის შექმნას შეუწყოს ხელი. დღეისთვის იგი აერთიანებს 61 ათასზე მეტ სამუშაოს მაძიებლის რეზიუმესა და 1600-ზე მეტ კომპანიას, რომელიც ევროპის მასშტაბით ეძებს პროფესიონალ თანამშრომლებს.

ევროპაში ემიგრირების ან სამუშაოდ წასვლის მსურველთათვის ძიების დასაწყებად პორტალი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. ამისთვის უნდა ეწვიოთ ვებგვერდს: <https://ec.europa.eu/eures/page/homepage>.

პორტალზე შესაძლებელია როგორც საკუთარი რეზიუმეს ატვირთვა, ისე არსებული ვაკანსიების გაცნობა. დამატებით, შესაძლებელია პორტალის 900-მდე მრჩეველის ჯონსულტაციით სარგებლობა. ჯონსულტანტები სამუშაოს (ასევე თანამშრომლების) მაძიებლებს აცნობენ დღეისათვის ევროპის სამუშაო ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს და ეხმარებიან მათი უნარების შესაბამისი სამუშაოს მოძიებაში. პორტალის “Living & Working” სექციაში შესაძლებელია თქვენთვის საინტერესო ევროპული ქვეყნის, რეგიონისა და ქალაქისთვის დამახასიათებელი სამუშაო ბაზრის სპეციფიკის, ლეგალურად გადაადგილებისა და ცხოვრების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოძიებაც.

გამარტივებული მიმოსვლა ევროკავშირისა და საქართველოს შორის

2011 წლის 1 მარტიდან ძალაშია საქართველოსა და ევროკავშირის შორის ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივებისა და უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმებები.

შეთანხმებამ ვიზების გაცემის გამარტივების შესახებ საქართველოს მოქალაქეების გარკვეულ კატეგორიებს (პენსიონერებს, ბავშვებს, ავადმყოფებს, მოსწავლეებს, სტუდენტებს, სპორტსმენებს, მეცნიერებს, კულტურის დარგის წარმომადგენლებსა და სხვა პირებს) შეუმცირა ან სრულად გაუქმა ვიზის საფასური, გაუმარტივა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ვიზის მიღების პროცედურა და უვიზო მიმოსვლა დააწესა დიპლომატებისთვის.

უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირის შორის არალეგალური მიგრაციის სფეროში თანამშრომლობის განმტკიცებას და განსაზღვრავს, თუ რა პროცედურების დაცვით უნდა დაბრუნდეს სამშობლოში ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე უნებართვოდ მცხოვრები პირი.

2012 წლის ივნისში ევროკავშირმა და საქართველომ დაიწყეს თანამშრომლობა ე.წ. „სავიზო დიალოგის“ სფეროში, რომლის საბოლოო მიზანია **სავიზო პროცედურების ლიბერალიზაცია და ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა**. „სავიზო დიალოგის“ ფარგლებში საქართველო ახორციელებს ორეტაპიან სამოქმედო გეგმას (სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა). იგი გულისხმობს რეფორმების განხორციელებას ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა: დოკუმენტების უსაფრთხოება, საზღვრის მართვა, მიგრაცია, თავშესაფარი, ადამიანის უფლებ-



ბები, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება. 2013 წლის თებერვლიდან საქართველო აქტიურად მუშაობს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესასრულებლად. აღსანიშნავია, რომ საქართველოსთვის ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის პერსპექტი-

